ხელშეკრულება № 6/2018

3 იანვარი, 2018 წ.

თბილისი

შპს "იბერია ავტოჰაუსი" (შემდგომში შემსრულებელი), მისი გენერალური დირექტორის ალექსანდერე ხუციშვილის სახით, ერთის მხრივ და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, მისი თავმჯდომარის ელდერ შენგელაიას სახით მეორეს მხრივ, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს' " ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1 - ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსრულებელი გაუწევს სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას დამკვეთის კუთვნილ ავტოტრანსპორტს (CPV34000000).

1.2 ავტოტექნიკური მომსახურება ხორციელდება შემსრულებლის სერვის ცენტრში თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მეორე კილომეტრი.

1.3 ავტოტექნიკური მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის და გამოცვლილი დეტალების ღირებულებასთან მიმდინარე „სარემონტო შეკვეთის" სპეციალური ფაქტურის სახით წარედგინება დამკვეთს.

1.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს შეკვეთაში მითითებულ თანხას დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

1.5 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად.

1.6 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.7 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი) ლარს.

მუხლი 2 - მხარეების უფლება-ვალდებულებები:

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეუკეთოს ავტომანქანა დამკვეთს.

2.2 შემსრულებელი ვალდებულია გააფრთხილოს დამკვეთი, როდესაც მისთვის ხელმისაწვდომი გამოსაცვლელი დეტალი უხარისხო და გამოუსადეგარია, ან არსებობს მისგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევარის სიმტკიცეს და ვარგისიანობას. თუ ასეთ შემთხვევაში დამკვეთმა მაინც მოითხოვა ავტოტექნიკური მომსახურების შესრულება შემსრულებელი პასუხს არ აგებს ნამუშევრის ვარგისიანობასა და ხარისხზე.

2.3 დამკვეთს უფლება აქვს მოთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება.

2.4 მხარეები ვალდებულნი არიან ავტოტექნიკური მომსახურების დასრულებისთანავე მოახდინონ ავტომობილის ტესტირება.

2.5 ავტომობილის ტესტირების შემდეგ თუ დამკვეთს არ გააჩნია პრეტენზია სამუშაოს შესრულების ხარისხზე, იგი ვალდებულია „სარემონტო შეკვეთის" სპეციალურ ფაქტურაზე ხელმოწერით ჩაიბაროს შესრულებული სამუშაო და აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

2.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობებისაგან ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში, რაზეც მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ წერილობით ასეთ გარემოებათა დადგომიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 3 -_მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1 დამკვეთი მომსახურების ღირებულებას შემსრულებელს უხდის კალენდარული თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

3.2 ამ მუხლში განსაზღვრული ანგარიშსწორება გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი 4 - დავების გადწყვეტა

4.1 ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება მხარეთა შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევებში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5 - დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ მისი ხელმოწერისა და ბეჭდის დარტყმის შემდეგ.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება იდება 1 წლის ვადით (2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) და შეიძლება გაგრძელდეს წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.3 მხარეებს აქვთ უფლება წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიტანონ ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

<u>მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:</u>

შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"	საქართველოს პარლამენტთან არსებული
იურიდიული მისამართი : ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.	ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-15 კმ.	იურიდიული მისამართი:ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. 8
ტელ. +99532 224 11 11	ფაქტიური მისამართი : ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4
ს/კოდი 236 081 832	ტელ.: +99532 293 20 99
ბანკი: BAGAGE22	ს/კოდი 204555702
04 0000000875685601	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
გენერალური დირექტორი	საბჭოს თავმჯდომარე
ალექსანდრე ხუციშვილი	ელდარ შენგელაია